

2019 წლის 29-30 მაისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის გიორგი ნიკოლაძის სახელობის დარბაზში საქართველოს მინერალოგიური საზოგადოებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „გეოლოგიის დარგის სიძლიერე ეკონომიკის აღორძინების წინაპირობაა“.

ყოველწლიურად იზრდება გეოლოგიის დარგში მოღვაწე ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ინტერესი კონფერენციისადმი. კონფერენციის მიზანი გეოლოგიის დარგის პოპულარიზაცია, ახალგაზრდებისთვის დარგში არსებული სიახლეების გაცნობა და მათი დაინტერესებაა. წლევანდელი კონფერენცია ძირითადად გეოლოგიის, სამთო საქმისა და გარემოსდაცვითი პრობლემების შეფასებასა და გადაწყვეტას მიეძღვნა.



კონფერენციის გახსნისას დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა, ნოდარ ფოფორაძემ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ზურაბ გასიტაშვილმა, სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, ანზორ აბშილავაძემ, „რიჩ

მეტალს გრუპის” აღმასრულებელმა დირექტორმა, თორნიკე ლიპარტიამ და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ანდრო ასლანიშვილმა.



შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის მიზანია სააგენტოსა და უნივერსიტეტის მიერ, კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში, ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება, კონფერენციების, სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა და გეოლოგიური დარგის განვითარების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების ფარგლებში თანამშრომლობა.

კონფერენციაზე განიხილეს ერთი წლის მანძილზე ჩატარებული იმ მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების შედეგები, რომლებიც მთლიანად უკავშირდება საქართველოში გეოლოგიის, როგორც დარგის, განვითარება-გამდიერებას, მათ შორის: საქართველოს მადნეული და არამადნეული საბადოების შესაძლებლობები და გამოწვევები, წიაღისა და მინერალური რესურსების მართვის საკითხები, ოქროსა და სულფიდური გამადნების პროგნოზირების პრობლემები, დისტანციური ზონდირების გეოფიზიკური მეთოდები, სამთო-მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების ნარჩენების მართვა ხელოვნური გეოქიმიური ბარიერების შექმნით მეორადი საბადოების წარმოქმნის მიზნით, მიწისქვეშა წყლების შემცველი ჰორიზონტების გამოვლენის შესაძლებლობები და პერსპექტივები, თბილისის საბურთალოსა და ვაკის რაიონების ზოგიერთი ძირითადი მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიების საავტომობილო ტრანსპორტის ხმაურით დაბინძურების ხარისხის შეფასება, მადნეულის კარიერის მესამე სანაყაროს ფერდობების მდგრადობის შეფასება SSPC საკლასიფიკაციო სისტემით, საიუველირო ქვების გაკეთილშობილება და ჩანართების იმიტაცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი ყველა სამეცნიერო კვლევა ეხმიანება როგორც დარგში მოქმედი ბიზნესკომპანიების სამომავლო ინტერესებს, ასევე მთლიანად ითვალისწინებს ბაზრის მოთხოვნებსაც. სწორედ ამიტომ კვლევები ქართულ ბიზნესთან მჭიდრო კოოპერაციის შედეგად დაიგეგმა.



სასიხარულო და მისასლმებელია კონფერენციაზე ახალგაზრდა გეოლოგების აქტიურობა. ორდღიანი კონფერენციის მთავარი თემა გეოლოგიის დარგში არსებული სამეცნიერო სიახლეებისა და გამოწვევების შეჯამება იყო, რასაც 32 მომხსენებლის გამოსვლა და 10 თემატური სასტენდო მოხსენება მიეძღვნა.





სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგები და საორგანიზაციო უზრუნველყოფა მაღალ დონზე შეფასდა. საქართველოს მინერალოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, ნოდარ ფოფორაძემ, ყველა მომხსენებელსა და თანაავტორს კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადასცა.





ამჯერადაც მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის სპონსორი და მხარდამჭერი იყო „რიჩ მეტალს გრუპი“ (RMG). დიდი მადლობა მათ ჩვენი კონფერენციის მხარდაჭერისთვის.



რიგით მე-6 საერთაშორისო კონფერენცია მომავალი წლის 29-30 მაისის დაიგეგმა.

